

ტრეფიკინგი თუ უფლებები გაუკვეცილი ქართველი ქიქები გერმანულ ოჯახებში



ტრეფიკინგისათვის სახელმწიფო საზღვრები არ არსებობს. ეს არის დანაშაული, რომელსაც საერთაშორისო ხასიათი აქვს, თუმცა ჩვენს საზოგადოებაში მისი აღქმა ვიწრო ჭრალში ხდება — არ არის აუცილებელი, ვინმემ მაინცდამაინც პასპორტი და პირადი ნივთები წაგართვას და სადმე,

ბნელ ოთახში გამოგეტოს იმისათვის, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლად ჩაითვალოს. დამნაშავეები სხვადასხვა მეთოდებს იყენებენ, რომ მსხვერპლი აკონტროლონ. ტრენინგებზე ასწავლიან, რომ ტრეფიკინგის მიზანი ადამიანის ექსპლუატაციაა, რომლის ნიშნებში შედის

არამართო ადამიანის სექსუალური მომსახურების გაწევის იძულება (რატომაც, უპირველესად ტრეფიკინგს სწორედ ამასთან აიგივებენ), არამედ პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვა, ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის პირობებში ჩაყენება. ისეთ ქვეყნებშიც

კი, როგორც ავსტრია და გერმანია, სადაც ტრეფიკინგის მინიმალური მაჩვენებელია, არაინფორმირებულობის გამო, ქართველ თუ არაქართველ ახალგაზრდებს (27 წლამდე) უმძიმეს მდგომარეობაში უწევთ წელიწადის ან თვეების გატარება. გაგრძელება მე-6 გვერდზე

**როგორ
 პროდუქტზე
 ნარნარა
 „ღიატური“
 უნებართვოდ
 დატანილი?**

იხილეთ მე-3 გვერდზე

**რა ზიანი შეიძლება
 მოიტანოს
 პირუტყვის
 აუტორიტეტის
 დაზარალება**

იხილეთ მე-4 გვერდზე

**ახალი
 რეგულირება
 საზღვარგარეთ
 საშუალოდ ნასული
 საქართველოს
 მოქალაქეებისათვის**

იხილეთ მე-6 გვერდზე

**ვინ არ უკვეწებდა
 ლარი ალიმონას
 „მართოში“
 წერილს ტერატი
 გრანულზე**

**მწერალი და პუბლიცისტი
 ლერი ალიმონაკი
 75 წლისაა**

იხილეთ მე-8 გვერდზე

**როგორ იპარაკენ
 და ირჩენენ თავს
 გერმანიაში
 ჩასული
 ქართველები**



**რას წერენ ჩვენზე და
 რას ამბობენ გერმანიაში
 მცხოვრები ქართველები**

იხილეთ მე-7 გვერდზე

ევროკავშირის წარმომადგენლობა და საელჩოები „რუსთავი 2-ზე“ განცხადებას ავრცელებენ

შეერთებული შტატების საელჩო, ევროკავშირის წარმომადგენლობა და საქართველოში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საელჩოები ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, რომელშიც „რუსთავი 2-ში“ ახალი მმართველების დანიშვნის გამო „შეშფოთებას გამოხატავენ.“

მათი განცხადებით, „საკონსტიტუციო სასამართლოს ახლახან მიღებული დროებითი გადაწყვეტილებისა და „რუსთავი 2“-ის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს

არსებითი განაჩენის ფონზე, რომელიც განაჩენის დაუყოვნებელ აღსრულებას არ ითვალისწინებს, 5 ნოემბერს მიღებული პრევენციული ზომები წარმოშობს სერიოზულ კითხვებს საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობასა და მედიის თავისუფლების ხარისხთან დაკავშირებით.“

„ჩვენმა საელჩოებმა არაერთხელ საჯაროდ განაცხადეს, რომ მედიის თავისუფლება და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა დემოკრატიის მნიშვნელოვანი საფუძველია. დემოკრატი-

ულ საზოგადოებებში განსხვავებულ მოსაზრებებს ხელი უნდა შეეწყოს. მოულოდებლად ყველა პოლიტიკურ პირს, თავი შეიკავონ ნებისმიერი ნაბიჯისა, თუ განცხადებისაგან, რომელმაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს ქართულ მართლმსაჯულებას, აღნიშნული საქმე მიუკერძოებლად განსაჯოს.“

მთავრობამ და მართლმსაჯულების ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან მედიის თავისუფლებისა და პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპები, რომელიც საქართველოს განვითარების

მისწრაფებების განუყოფელი ნაწილია.

გაგაგრძელებთ მოვლენებზე ყურადღებით დაკვირვებას და საჭიროების შემთხვევაში, კვლავ გავუზიარებთ წუხილს ყველა შესაბამის მხარეს“ — ნათქვამია შეერთებული შტატების საელჩო, ევროკავშირის წარმომადგენლობა და საქართველოში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა საელჩოების ერთობლივ განცხადებაში.

liberali.ge

ულისიმით *220*05#
 4G+ უაღრესი სიჩქარე
 1 GB
 + უფასო WhatsApp

ბილაინის აპლიკაცია

**იპარკული
 გლეხები
 ზამთარს
 სარკილი
 გლეხებით
 სვლიან**

იხილეთ მე-3 გვერდზე

ყურადღება! ტრეფიკინგის პრევენციის მედიაცენტრი იმერეთში გირჩევთ:

- თუ გაქვთ ინფორმაცია ტრეფიკინგის ფაქტის შესახებ,
 - თუ გაქვთ შეკითხვა, როგორ დაიცვათ თავი ტრეფიკინგისგან,
 - თუ გჭირდებათ იურიდიული, ან ფსიქოლოგიური დახმარება,
- ნებისმიერ შემთხვევაში, დაგვიკავშირდით ტრეფიკინგის პრევენციის რეგიონული მედიაცენტრის საკონტაქტო ტელეფონებზე:**

577 247 711;
(0431) 24 45 46
გაზეთ „პოსტსერვისის“ რედაქცია;

599 740 760;
(0431) 24 18 87
გაზეთ „ახალი გაზეთის“ რედაქცია.

ტრეფიკინგის პრევენციის მედიაცენტრი მუშაობს ყოველდღე, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. ხოლო 24-საათიანი ცხელი ხაზი მოქმედებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა და შინაგან საქმეთა სამინისტროში.

დარეკეთ!

(+995 32) 2 100 229 – სახელმწიფო ფონდი (+995 32) 2 411 716 – შინაგან საქმეთა სამინისტრო

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დირექტორი: ირმა ბახუტაშვილი
ოპერატორი და კორექტორი: ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „პ.ს.“
 („პოსტსერვისი“).
 ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401
 გაზეთ „პ.ს.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაქ) 3+321 (479.22) (054) 3 - 658 P - 86

მისამართი: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.
 • (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
 • psnews27@gmail.com
 • www.psnews.ge



რეგიონული მედია ტრეფიკინგის პრევენციის სახელმწიფო ფონდის ინიციატივით

საერთოდ, მისასალმებელი ფაქტია, რომ დღესდღეობით, ადამიანი ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ, საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ქვეყანაში აქტიურად ხორციელდება ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილებას და მის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას, ამ დანაშაულის ეფექტურ გამოძიებას, სისხლის სამართლებრივ დევნას, მსხვერპლთა და დაზარალებულთათვის ეფექტიანი დახმარების აღმოჩენას, მათ საფუძვლიან რეაბილიტაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დანაშაულის პრევენციის პროცესში მისასალმებელი ინიციატივა — საინფორმაციო კამპანია და საგანმანათლებლო კომპონენტები.



სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაციის პროექტი „რეგიონული მედია ტრეფიკინგის პრევენციისთვის იმერეთში“, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერაა დაფინანსებული. პროექტის აღმინისტრირებას სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახდენს. პროექტში ძირითადად ჩართულია ასოციაციის წევრი სამი გაზეთი და ოთხი ინტერნეტგამოცემა, რომლებიც იმერეთის რეგიონში საქმიანობენ. ესენი არიან: გაზეთები — „პოსტსერვისი“, „ახალი გაზეთი“, „ჩემი ხარაგაული“, მათი ვებპორტალები და ინტერნეტგამოცემა „ოკრიბანისი“.

პროექტის ყველა აქტივობას ძირითადად სწორედ ეს 7 მედიასაშუალება ამუშავებს. ვფიქრობთ, რომ პროექტის განხორციელების შედეგად რეგიონული მედიის ასოციაციამ საინფორმაციო შეხვედრებისა და მასობრივი საინფორმაციო კამპანიის წარმოების გზით საკუთარი წვლილი შეიტანა ტრეფიკინგის თემაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში იმერეთის რეგიონში (ქალაქებსა და სოფლებში).

პროექტის ფარგლებში ტრეფიკინგის პრევენციის მიზნით, საინფორმაციო კამპანია ქუთაისიდან დაიწყო: 24 სექტემბერს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა — „ვორქ-შოუ“ იმერეთის რეგიონის პრესის, ონლაინ და ტელე-რადიო ჟურნალისტებისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო მრჩეველი ქეთევან სარაჯიშვილი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი ნათელა მყავანაძე და პროექტის იურისტი პაატა ცნობილაძე. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო იმერეთის რეგიონის საინფორმაციო საშუალებების ჟურნალისტებმა. აღნიშნულ შეხვედრაზე გამოცხადდა კონკურსი მასმედიის წარმომადგენლებისათვის ტრეფიკინგის თემაზე.

იმავ დღეს საინფორმაციო შეხვედრა

გაიმართა ქუთაისის იუსტიციის სახლში ტრეფიკინგის პრევენციის თემაზე, სკოლის მოსწავლეებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი პროექტის ფარგლებში მოხილვებულმა მოსწავლეებმა.

მომზადდა და გამოიცა საინფორმაციო ბროშურა „ჯიბის წიგნი“ — ტრიპლეტის ფორმით „რა უნდა ვიცოდეთ ტრეფიკინგზე“, ქართულ და ინგლისურ ენებზე, (900 ც ქართული, 100 ც ინგლისური), რომელიც ტრეფიკინგის პრევენციის და უსაფრთხო მიგრაციის საკითხებს ეძღვნება.

25 სექტემბერს გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა ტრეფიკინგის და უსაფრთხო მიგრაციის თემაზე წყალტუბოს საერო სკოლაში „ოცნება“. შეხვედრა წარმართეს ჩვენი ორგანიზაციის მოწვეულმა იურისტმა პაატა ცნობილაძემ და მიგრაციის საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენელმა ნათელა მყავანაძემ.

ტრეფიკინგის პრევენციის თემაზე საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა

ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბორისა და კიციხის სკოლის უფროსკლასელებთან და ტყიბულის მეოთხე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. ამ შეხვედრებში ჩვენი ასოციაციის იურისტთან ერთად მონაწილეობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი ნუგზარ კობრიძე.

შეხვედრებზე მოსწავლეებს ესაუბრნენ, რა უნდა ვიცოდეთ ტრეფიკინგის შესახებ და როგორ დავიცვათ თავი მასთან დაკავშირებული საფრთხეებისგან; რა არის ლეგალური და არალეგალური მიგრაცია, როგორია ლეგალური დასაქმებისა და სწავლის შესაძლებლობები საზღვარგარეთ, როგორ ებრძვის სახელმწიფო ტრეფიკინგს და რა დანაშაულებას სთავაზობს სახელმწიფო დანაშაულის მსხვერპლსა და დაზარალებულს.

ჩვენი პროექტის დასასრულს მომავალ კვირაში ჩატარდება დისკუსია-დილოგი ტრეფიკინგის პრევენციის საკითხებზე და ასევე, მოხდება კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება.

მიგვაჩნია, რომ ამ ტიპის საინფორმაციო პრევენციული პროექტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ტრეფიკინგის საკითხებზე.

რეგიონული მედიის ასოციაცია პროექტის დასრულების შემდგომაც აგრძელებს მუშაობას ტრეფიკინგის პრევენციის კუთხით და ძალაში რჩება ჩვენი ადგილობრივი მედიაცენტრების საკონსულტაციო სატელეფონო ნომრები, სადაც შესაძლებელია დარეკვა სამუშაო საათებში და ტრეფიკინგის საკითხებზე კონსულტაციების მიღება, ჩვენი ცენტრის წარმომადგენლები საჭიროებისამებრ დააკავშირებენ მოქალაქეებს შესაბამის უწყებებთან, პრობლემის გადასაჭრელად.

ნატო გუბელაძე
პროექტის დირექტორი

საჩუქარი რეგიონულ მედიას — პოლონეთში სტაჟირება

პოლონური ასოციაციის „დემოკრატიული აღმოსავლეთი“ და კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრის პროექტის — „საქართველოს ადგილობრივი გაზეთები მობილურ სინამდვილეში“ — ფარგლებში მედიასახლ „პოსტსერვისის“ აღმოსავლეთის ბიუროს ხელმძღვანელი პაატა ცნობილაძე პოლონეთში სტაჟირებით დაჯილდოვდა. რედაქციას კი დიპლომი და ინტელექტუალური პრიზი გადაეცა.



17-დან 23 ოქტომბრამდე ქართული რეგიონული მედიის რვა წარმომადგენელი იმერეთიდან, გურიიდან, კახეთიდან, სვანეთიდან, ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან პოლონეთის ქალაქ კრაკოვოში სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ.

ისინი სტუმრობდნენ ადგილობრივ მედიორგანიზაციებს და ადგილზე ეცნობოდნენ მათ საქმიანობას. ქართველი ჟურნალისტებისათვის მრავალმხრივი საინტერესო იყო პოლონური კოლეგების გამოცდილების გაზიარება მულტიმედიაში მუშაობის პრინციპების შესახებ, თუ როგორ უნდა მიაწოდო აუდიტორიას თანამედროვე სტანდარტებით შექმნილი მედია პროდუქტი, როგორ უნდა გაითვალისწინო მკითხველთა მრავალმხრივი ინტერესი.

ქართველ ჟურნალისტებს მასპინძლობასა და მეგობრობას უწყვედნენ პროექტის ორგანიზატორები და ადგილობრივი გაზეთების წარმომადგენლები: აგნეშკა ნოვინკა — პროექტის ხელმძღვანელი, მარჩინ ბანკი — პროექტის მთავარი ტრენერი; პიოტრ კრიშიაკი, იაროსლავ ბაბიცი — პოლონური ადგილობრივი გაზეთების

გამომცემლები; ალიცია მოლენდა — პოლონური ადგილობრივი გაზეთის „პრელომ“ გამომცემელი, პოლონეთის ადგილობრივი გაზეთების ასოციაციის თავმჯდომარე.

ქართული მედიის წარმომადგენელთა ვიზიტი კრაკოვოში რამდენიმე ადგილობრივ მედია გამომცემამ გააშუქა.

გარდა პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა, პოლონელმა მასპინძლებმა ქართველ ჟურნალისტებს ისტორიული მნიშვნელობის ადგილებიც დაათვალიერებინეს. კერძოდ, ოსვენციმის (აუსვიცის) საკონცენტრაციო ბანაკი და ვაველის სასახლე კრაკოვოში.

პროექტი დაფინანსდა პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს 2015 წლის თანამშრომლობის განვითარების პროგრამის „დემოკრატიის მხარდაჭერა“ და თავისუფლების ფონდის პოლონური-ამერიკული პროგრამა „ცვლილებები



რეგიონში“ RITA-ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისთვის“.

იპირაღი გლეხი ზამთარს სარიღი ბეღეღით სვღეღიან

შემოდგომა წელიწადის ყველაზე ბარაქიან-ხვეიან სეზონად არის აღიარებული და არცთუ დაუმსახურებლად. მთელი წლის ნაშრომ-ნაამაღარს საიმედოდ რომ დააბინავენ, მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქეს ხოლმე გლეხკაცი თავისუფლად და ზამთრის გრძელ ღამეებში იმის შიში მაინც არ ექნება, ოჯახი, პირუტყვი, ფრინველი სარჩოს გარეშე მყოფობაო. სამწუხაროდ, ეს იდილიურ-პასტორალური განწყობა ამ წერილის ბოლომდე ვერ გაჰყვება...



„პ. ჟოხო“ (ირაბ ბარლალიძევილი) ©

წელს უჩვეულოდ უხვი იყო ყურძნის მოსავალი. იმდენად ჰარბი მოსავალი მიიღეს, რომ კახელ გლეხებს ყურძნის გასაღების პრობლემა შეექმნათ. ჯერ იყო და დროულად არ დაიწყო ჩაბარების პროცესი ღვინის ქარხნებსა თუ მარნებში, მერე გლეხებისთვის 1 კილოგრამ ყურძენში შეთავაზებული ფასი აღმოჩნდა მიზერულად მცირე იმ დანახარებთან შედარებით, რაც ყურძნის მოყვანა ჯდება. სახელმწიფომ გარკვეული სუბსიდირება მაინც მოახდინა და ფასმა შესაბამისად რამდენიმე თეთრით მოიმატა, მაგრამ, საბოლოოდ, რთველმა კახეთში კმაყოფილი ვერ დატოვა მევენახეები.


სავალი სიმინდი და ბალ-ბოსტნეულია. წელს გვალვიანი ზაფხული იყო ქვემო იმერეთში. ზოგიერთ ზონაში სამი-ოთხი თვის მანძილზე წვიმა საერთოდ არ მოსულა და შესაბამისად, გლეხებიც მოსავლის გარეშე დარჩნენ.

უკვე რაჭაშიც დამთავრდა რთველი და ძვირადღირებული და იშვიათი ჯიშის ყურძნის ფასზე იქაც ვერ შეთანხმდნენ მწარმოებლები და რეალიზატორები.

„შოთა ჟორჯოლიანი: „წელს დროულად დაგზანით მიწები და დავეთხეთ ყანები, მაგრამ რად გინდა — წვეთი წვიმა არ ჩამოვარდნილა. ერთხელ მაინც რომ მოეწვიო და აზოტის მიცემის საშუალება ყოფილიყო, იქნება კი მოგვეწია ჩალა მაინც, მაგრამ, 30-40 სანტიმეტრს ვერ აცდა ყანა და დაიწყო გახმობა, გახედვა აღარ მიწა იქეთ.“

ციტრუსის სეზონიც დაიწყო. აჭარასა და გურიაში მანდარინის და ფორთოხლის რეკორდულ მოსავალს ელოდებიან. გლეხები აქედანვე ფიქრობენ იმაზე, თუ სად და როგორ მოახდინონ ციტრუსის რეალიზაცია სასურველ ფასად.

პომიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, ბოსტანი — სოფელში რაც უნდა



„პ. ჟოხო“ (ირაბ ბარლალიძევილი) ©



„პ. ჟოხო“ (ირაბ ბარლალიძევილი) ©

ჰქონდეს ადამიანს, ყველაფერი გავაკეთეთ, მაგრამ ამ გვალვის გამო გასაყიდად კი არა, საჭმელადაც არ გვეყოფნენ ნაშრომი.

ახლა ვიყიდვ 3 ყუთი გორის პომიდორი, რომ ზამთრისთვის შევინახოთ. იქ თუ მოდის ეს დალოცვილი, ჩვენთან რა ღმერთი უწყდება — შრომა და მოვლა არ დაგვიკლია არაფრისთვის, მაგრამ კი ხედავთ თქვენც — ბელელიც ცარიელი მაქვს და ერთი პატარა ზვინიც კი არ მიღვას ეზოში. ყანა მოსაჭრელადაც არ ღირდა და პირდაპირ შევეშვით შიგნით პირუტყვი საბალახოდ.

გული ამიტორდა კახეთში დასეტყვილი ვენახი რომ აჩვენეს და კარგია, რომ სახელმწიფო ეხმარება დაზარალებულებს, მაგრამ ეს გვალვა რატომ არ თვლება სტიქიად? მაინცდამაინც ერთ ღღეში უნდა გაგვანადგუროს ბუნებამ, სახელმწიფომ ჩვენსკენაც რომ გამოიხელოს?“

თინა კილაძე: „მთავრობა დაგვეხმარა, დაგზანით და დავეთხეთ, მაგრამ მერე ამინდებმა დაგვადალატა ძალიან. 73 წლის ქალი ვარ და ასეთი გაბმული გვალვები არ მახსოვს. ივლისში იყო უკვე გადაყვითლებულ-გადამხმარი ყველაფერი — ყანა, ბალი, ბოსტანი.“

აქვე, სახლთან ახლოს რაც მქონდა, ვრწყავდით იმას ასე თუ ისე, მაგრამ უკვე ჰებაც დაშრა და რა გვეშველება არ ვიცი. სასმელი წყალი მაინც არ გავიქრეს და სხვას აღარ დავძებ. ნახევარ ღღეში დაფშვენი მთელი წლის მოსავალი სიმინდი, როცა მთელი თვე ვუნდებოდით სიმინდის გამორჩევას და გამოფშვნას, მეზობლებიც ვენმარებოდით ერთმანეთს, რომ დროულად დაგვებინავენ ბინა მოსავალი.“

რეზო მარდალაიშვილი: „წელს ჩვენს სოფელში კომუნისტების დროინდელი სარწყავი არხები აღადგინეს. მაღლაკის ყველა უბანს არ უხერხდება, სამწუხაროდ, ამ არხით სარგებლობა, თორემ ძალიან კარგი საქმე გაკეთდა. ოთხჯერ მოვრწყვეთ ჩვენი ყანა და 400მ² ფართობზე 500 კილოზე მეტი სიმინდი მოვიწიეთ და 250 კონამდე ჩალა. ეს სავესებით საკმარისია ჩვენთვის და ჩვენი პირუტყვისა თუ ქათმებისთვისაც. ყიდვა არ დაგვიკრდება. ზოგმა იზარმაცა, მიაჩერდა ბუნებას და კი დარჩა მოსავლის გარეშე. გაისად უფრო მეტი ისარგებლებს ამ არხებით, ალბათ, და კარგ მოსავალსაც უფრო ბევრი ოჯახი მიიღებს.“

ირაბ ბარლალიძევილი

რომელ პროდუქტზეა წარწერა „დიეტური“ უნებართვოდ დატანილი?

მიმდინარე წლის აგვისტოში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა ჯანდაცვის სამინისტროსგან მიიღო იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთაც ეტიკეტზე წარწერა „დიეტური“, „სამკურნალო“ ან ეკვივალენტური ნიშანდების დატანის ნებართვა აქვთ. გამოვლინდა ორი პროდუქტი, რომელთა ეტიკეტზეც წარწერა „დიეტური“ უნებართვოდ იყო დატანილი.

მომხმარებელთა დახმარებით, მოვიძიეთ კიდევ სამი პროდუქტი, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტროს სიაში არ არის და რომელთა ეტიკეტზეც წარწერა „დიეტური“ განთავსებული. ესენია:

1. „ნიკორას“ ძეხვი „დიეტური“.
 2. ლიტვური საცხობის „გერმანული დიეტური პური“.
 3. ლიტვური საცხობის ჭვავის პური „სვეიკატა“ (დიეტური).
- გარდა ამისა, ამ უკანასკნელის აღწერილობაში მითითებულია, რომ პური რეკომენდებულია იმ პროდუქტებისა და მუდმივად დარღვევის შესახებ ფონდმა შეტყობინება გაუგზავნა როგორც მეწარმეებს, ისე სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

(შპს „ნექტარი 2008“) — „ღიაბეტური“.

პური (შპს „თბ ჯგუფი“ — „ღიაბეტური“, სპეციალური შოკოლადი (შპს „ბარამბო“) — „დასაშვებია გამოსაყენებლად შაქრიანი ღიაბეტით დაავადებული პირებისათვის ექიმ-ენდოკრინოლოგთან კონსულტაციის შემდეგ“.

გარდა ამისა, ფონდი კვლავ მოვიწოდებთ მომხმარებლებს, გვაცნობოთ, თუ თქვენს მიერ შექმნილი სურსათის ეტიკეტზე დატანილია „დიეტური“, „სამკურნალო“ ან ეკვივალენტური ნიშანდებები და ეს პროდუქტი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებულ სიაში არ შედის.

ამასთან, ფონდი რეკომენდაციას უწევს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თავის ვებგვერდზე განათავსოს იმ პროდუქტების სრული და მუდმივად განახლებადი ჩამონათვალი, რომლებზეც №301/ნ ბრძანების თანახმად გაცემულია ნებართვა ტერმინების „დიეტური“, „სამკურნალო“, ან მათი ეკვივალენტების სახელწოდებაში, ან პროდუქტების სამომხმარებლო შეფუთვის ნიშანდებებში და სარეკლამო ფურცლებ-ჩანართებში გამოყენების შესახებ, რათა ინფორმაცია ადვილად იყოს ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებულ პირისათვის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული სიის მიხედვით, სამინისტროს 5 პროდუქტზე აქვს წარწერა „დიეტურის“, „სამკურნალოს“ ან მათი ეკვივალენტის დატანის ნებართვა გაცემული:

ფონდის მიმართვის პასუხად, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ შეამოწმა და შესაბამისი ნებართვის არქონის გამო დააჯარიმა „ნიკორა“ და შპს „ელთი დისტრიბუცია“ „ლიტვური საცხობი“, ხოლო ჯანდაცვის სამინისტრომ ვებგვერდზე განათავსა იმ პროდუქტების ჩამონათვალი, რომელთა ეტიკეტზეც „დიეტური“, „სამკურნალო“ ან ეკვივალენტური ნიშანდების დატანის ნებართვა გაცემულია.

- პური „ღიაბური“ (შპს „პური“) — „დიეტური“.
- პური „ამარანტი“ (შპს „პური ჩვენი არსობისა“) — „დიეტური“ ან „ღიაბეტური“.
- უალკოჰოლო გაზიანი სასმელი

ლიტვურმა საცხობმა ასევე შეცვალა ეტიკეტი პური „სვეიკატაზე“, რომელსაც დიეტური აღარ აწერია.



ქუთაისის მერია Google drive-ზე გადავიდა

ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახური ე.წ. Google drive-ის სისტემაზე გადავიდა.

„ეს არის შიდა დოკუმენტბრუნვა, რომელშიც ყველა სამსახური იქნება ჩართული. აღნიშნული სერვისის საშუალებით მოხდება პრობლემების მართვა.“

იმისათვის, რომ ქუთაისის თვითმმართველობის ტერიტორიულ ერთეულებში არსებული პრობლემები მართვადი გახდეს, ქუთაისის მერია მუშაობის ახალ ეტაპზე გადადის. კერძოდ, ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ, უბნებში აღმოჩენილი პრობლემებისა და ხარვეზების ასახვა Google drive-ში მოახდინონ.

ელექტრონული მმართველობის რეჟიმზე გადასვლა ნამდვილად ნაყოფიერი იქნება. ყველა პრობლემაზე გვექნება წვდომა, გავიგებთ, რამდენად ოპერატიულად მუშაობენ სამსახურები, ასევე რატომ ვერ მოგვარდა ესა თუ ის პრობლემა. აღნიშნული სერვისის თვითმმართველობებში ეტაპობრივად ინერგება.“ — აცხადებს ქუთაისის მერი შოთა მურღულია.



№3 10.2015

სპეციალური ჩანართი სურსათის უვნებლობის შესახებ



რა ზიანი შეიძლება მოიტანოს პირუტყვის აუსრელობა

ნიკო კაპანაძე გაზეთი „ჩემი ხარაბაული“ იმერეთი.

რატომ არის აუცილებელი პირუტყვის აცრა და რა საშიშროება ემუქრება მომხმარებელს დაავადებული ხორცისა და რძის ნაწარმის გამოყენებისას.

სარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ისლარში მცხოვრები ვაჟა ბრეგვაძე, ოცი წელია, მესაქონლეობას მისდევს. ამჟამად ის და მისი ოჯახის წევრები ორმოც სულ საქონელს უვლიან. ოჯახის დიასახლისი ეკა ბრეგვაძე ამბობს, საქონელს მაშინ უტარებენ აცრას, როდესაც სახელმწიფო უფასო აცრებს ატარებს. მისივე თქმით, ისინი ზაფხულში, საქონლის ქვაზინების საძოვარზე წაყვანამდე დამატებით ცრიან იმ დაავადებებზე, რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ არის გათვალისწინებული.

„კარგად გვესმის, თუ რა ზიანი შეიძლება მოგვიტანოს პირუტყვის აუცრელობამ, ამიტომ პირუტყვსაც ვაზღვევთ აცრით და საკუთარ თავსაც;“ - ამბობს ეკა ბრეგვაძე.

ველს უწევს უშუალოდ ნიადაგზე შეხება, დაზიანებული ლორწოვანი გარსი არის ძალიან კარგი წინაპირობა დაავადების განვითარებისთვის. ჯილეხის გამოწვევი ნიადაგში იკეთებს სპორას, რომელიც საუკუნის განმავლობაში ძლებს.

ჯილეხს აქვს ინკუბაციური პერიოდი, განვითარების ფაზა და გამოსავალი. ხშირ შემთხვევაში ცხოველი იღუპება. ამ დროს ცხოველისთვის დამახასიათებელია-პეციფიკური სისხლიან-ქაფიანი გამონადენი ცხვირიდან და ანალური ხვრელიდან. ცხოველი წყვეტს საკვების მიღებას და კარგავს ნაცოხრობის უნარს. ჯილეხი ძალიან სწრაფად ვითარდება. თავიდან მეპატრონეს ჰგონია, რომ შესაძლოა, ცხოველს ჰქონდეს ფაშვის ატონია ან ჰიპოტონია და სერიოზულ დაავადებაზე არ ფიქრობს. ძალიან ხშირად ეკონომიური მდგომარეობის გამო, ცხოველს დაცემამდე კლავენ და იყენებენ. ამ დროს ყველაზე დიდი შანსია, რომ ადამიანი ჯილეხით დაავადდეს. პირუტყვში აღინიშნება მალალი ტემპერატურა, სისუსტე, ინტოქსიკაცია, უმადობა, წველადობა იკლებს, ამ სიმპტომების შემდეგ საქონელი 2-3 დღეში კვდება.

ერთადერთი პრევენცია ისაა, რომ ჯილეხიან ცხოველს არ შეეცნოს. ის არ ინკურნება. მნიშვნელოვანია, რომ დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ვეტერინარს. გამოირიცხოს ყოველგვარი თვითმკურნალობა. კანონმდებლობის შესაბამისად, პირუტყვი უნდა დაიკლას, დაიწვას და სადგომში ჩატარდეს დეზინფექცია.

ნათია ბერაძის ინფორმაციით, სარაგაულის მუნიციპალიტეტში 2010 წელს დაფიქსირდა ძალიან საშიში დაავადება თურქული. მისი თქმით, სოფელ წაქვაში მაშინ მაისურად დაეცა პირუტყვი.

„თურქული ბეგრად საშიშია ჯილეხზე, - განმარტავს ბერაძე, - შეიძლება მეზობელი მუნიციპალიტეტიდან უსწრაფესად გავრცელდეს. ამ დროს პირუტყვი აღარ ქამს, აქვს მალალი ტემპერატურა, პირის ღრუში, ჩლიქებსა და ცურზე

ინტერვიუ რა დარღვევები დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტში აგვისტოსა და სექტემბერში სასოფლო-სამეურნეო 13 ნიშნულიდან 5 დარღვევა დააფიქსირა. ერთ შემთხვევაში კი დარღვევა განმეორებითაც აღმოჩნდა.

სასოფლო-სამეურნეო ახალციხისა და ადიგენის მუნიციპალიტეტებში აგვისტოსა და სექტემბერში სასოფლო-სამეურნეო 13 ნიშნულიდან 5 დარღვევა დააფიქსირა. ერთ შემთხვევაში კი დარღვევა განმეორებითაც აღმოჩნდა.

თამარ თოთაძე, ახალციხე

მიმდინარე წლის აგვისტოსა და სექტემბერში ახალციხის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა 5 დარღვევა სასოფლო-სამეურნეო 13 ნიშნულიდან. ერთ შემთხვევაში კი დარღვევა განმეორებითაც აღმოჩნდა.



და ისე მიიღო მომხმარებელმა, ნამდვილად სახიფათოა ადამიანისთვის;“ - ამბობს ახალციხელი ლეონა ალავეიძე.

ახალციხის მომხმარებელთა დახმარების ცენტრის ინფორმაციით, მცირედ მომატებული პერმანენტული უანგვადობა ყველა სხვა პარამეტრის ნორმასთან შესაბამისობის ფონზე სერიოზულ დარღვევას არ წარმოადგენს და, სავარაუდოდ, გამოწვეულია გაყვანილობის სიძველით. ცენტრის წარმომადგენლებმა შედეგის შესახებ მომხმარებელს აცნობეს და ურჩიეს, წყალი გამოყენებამდე რამდენიმე წუთის განმავლობაში თავისუფლად აღინონონკანში.

რა საფრხეს წარმოადგენს დაბინძურებული წყალი?

კოლიბაქტერიების ანუ ნაწლავის ჩხირის ჯგუფი იგივე კოლიფორმები აერთიანებს მიკროორგანიზმების 100-მდე სახეობას, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ნაწლავის ნორმალური მიკროფლორის შემადგენელ ნაწილს. მათ პირობითად პათოგენური მიკროორგანიზმები ეწოდებათ. მოწამულა ვითარდება მხოლოდ გარკვეულ პირობებში, კერძოდ, როდესაც ნაწლავის ჩხირი ადამიანის ორგანიზმში ხვდება საკვებთან ან წყალთან ერთად.

რუსთაველის ქუჩის N101-ში შემოწმებულ სასოფლო-სამეურნეო აგვისტოს მონაცემებით პარამეტრები ნორმაში იყო, ხოლო განმეორებით ჩატარებულ კვლევას იგივე მისამართზე შემოწმებულ წყალში მომატებულია პერმანენტული უანგვადობა.

ადგილობრივების ნაწილი ამბობს, რომ სასოფლო-სამეურნეო წყალს არ იყენებენ, რადგან მსგავსი ფაქტები არაერთხელ დაფიქსირებულა.

ახალციხის მცხოვრებთა უმრავლესობა ონკანის წყალს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის არ იყენებს, მოსახლეობა ფიქრობს, რომ მათი წყალი სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის არაა შესაფერისი. ისინი ხელისუფლებისგან მოითხოვენ, რომ წყლის ხარისხი უკეთ გააკონტროლონ, გაიფილტროს და მომხმარებელამდე უვნებელი წყალი მივიდეს.

„ოთხი პატარა გვეყავს სახლში, ბევრჯერ ატივებიათ მუცელი და გვიფიქრია, რომ წყლის ბრალი იყო. თუ არ გაიფილტრა, არ გასუფთავდა

კოლიბაქტერიებით ან მათ მიერ გამოწვეული ტოქსინებით დაბინძურებული საკვების ან წყლის მოხმარებამ შეიძლება სხვადასხვა დაავადებები გამოიწვიოს: ნაწლავური ინფექციები, შარდსაღებო გზებისა და სასქესო ორგანოების დაზიანება, ბაქტერიემია, მენინგიტი და სხვა. ნაწლავის ჩხირით გამოწვეული მოწამულა შესაძლებელია ხასიათდებოდეს სხვადასხვა სიმპტომებით - გულსრრევი, მუცლის ტკივილი, ტემპერატურის აწევით, სისუსტით ან უმადობით. მძიმე შემთხვევების დროს შესაძლებელია განვითარდეს სეფსისიც.

მომხმარებელთა დაცვის ცენტრში განმარტავენ, რომ აღმოჩენილი დარღვევების შესახებ შეატყობინეს მოსახლეობას და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას,

(გაგრძელება შემდეგ გვერდზე.)

სასურველი რეკვიზიტი

რატომ უნდა ავცრათ პირუტყვი ვაქცინაცია საუკეთესო გზაა, რათა თავიდან ავიცილოთ პირუტყვის დაინფიცირება და დაავადების გავრცელება.

- განსაკუთრებით საშიში დაავადებების წინააღმდეგ ცხოველთა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს სახელმწიფო აფინანსებს: ეს არის ჯილეხის, თურქული და ბრუცელაზის აცრები, რომელიც უფასოა.

- დანარჩენ დაავადებებზე პირუტყვის მეპატრონეებმა თავად უნდა ჩატარონ ვაქცინაცია ვეტერინარის დახმარებით.

ვაქცინაციის ფასი დამოკიდებულია ხარისხზე, 9 დაავადებიდან, რომლის ვაქცინაციაც წელიწადის განმავლობაში აუცილებელია, 5 ვაქცინა ორგანიზმის პარაზიტული უმარტივესებით და ჭიებით დასნეოვნების წინააღმდეგ გამოიყენება 4 ვაქცინაციით. დაავადებისგან დასაცავად. თითო ვაქცინაცია ერთ სულ ცხოველზე 30-35 ლარი ჯდება.

- რძის მწარმოებელმა უნდა იცოდნენ როდის კეთდება ვაქცინაცია და რომელი ძროხა მკურნალობის ქვეშ, რათა არ მოხდეს ამ პერიოდში რძის აღება და გამოყენება.

ფარეიდან სუფრაზე

ბოსტნეული მთელი წელი - სასათბურე მეურნეობები

საქართველოში სასათბურე მეურნეობები ფესვს ნელ-ნელა იკიდებს. ევროპული გამოცდილების ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებას სპეციალურად შემუშავებული სახელმწიფო პროგრამები უწყობს ხელს.

თამარ ხოზარაძეანიძე გახეთი „ჩემი ქოზულითი“

სასათბურე ბიზნესის განვითარების მიზნით, ევროპაში ნაბიჯები დიდი ხნის წინ გადადგა. წერტილი ფერმერული მეურნეობები ამჟამად მსხვილ კორპორაციებად და გაერთიანებებად გარდაიქმნა, თუმცა საქართველოში სასათბურე მეურნეობებს ბევრ პრობლემასთან გამკლავება უწევთ, ნედლეულის სიძვირე და საჭირო მუშაუნების არ არსებობა მათ განვითარებას ხელს უშლის.

ნემ აგვისნა, რომ მას გათბობის სისტემის დანახარჯები იმდენად ძვირია, ურჩევნია არასეზონური ბოსტნეულის გამო არც ენერჯია დახარჯოს და არც რესურსი. ზამთრის პერიოდში მხოლოდ ხახვსა და სალათის ფურცლებს თესავს, ხოლო პომიდვრის დარგვას თებერვლის თვეში იწყებს, სამი თვის შემდეგ ნაყოფს უკვე იძლევა და ბაზარზე ბოსტნეული სხვა კონკურენტებთან შედარებით 2 თვით ადრე შეაქვს.

და წყლის და ის, თუ რა რაოდენობით უნდა მიაწოდო წყალი. ყველაზე მთავარია სათბურს ჰქონდეს თავში კარი, რადგან როცა გარედან სიცივე და შიგნიდან სიცხე ხდება წარმოიშება ორთქლი და ასევე ნისლი, ეს ნისლი კი საშინლად აზიანებს ნაყოფს და აფუჭებს. ამბობს მეწარმე, რომელსაც სათბურზე ავტომატურად ასახსნელი კარი აქვს დამონტაჟებული. ამ კარის საშუალებით ორთქლი გარეთ გასვლას ახერხებს და ნაყოფი აღარ ზიანდება.



ყიდვებზე და მომხმარებლებზეც ბოსტნეულის სიძვირეზე საუბრობენ.

„სათბურის პროდუქტები ძირითადად ადგილობრივ ფერმერებს მოაქვთ. როცა შემოდის სოფლებიდან, იმასაც ვყიდულობთ. ფასები წელს ძალიან განსხვავდება, ყველაფერი ძვირია. რა თქმა უნდა, სოფლის უკეთესია, მაგრამ ფასითაც ადგილობრივი უფრო ძვირია. ფუჭებადი ჩვენი უფროა, გაძლიერებული სათბურის უფრო დიდხანს ძლებს.“ ამბობს გამყიდველი მზია ცინცაძე.

ხანდახან უგემურია.“ იმისათვის, რომ მომხმარებელმა უკეთ შეაფასოს პროდუქტის ხარისხი, საჭიროა, რომ მას მიეწოდებოდეს ყველა საჭირო ინფორმაცია ამ პროდუქტის შესახებ. გარკვეული ვალდებულებები მეწარმეებს ახლაც ეკისრებათ. მოქმედებს მოთხოვნები სურსათის ეტიკეტირების შესახებ. გარდა ამისა, ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, მომხმარებლის უფლებების დაცვა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს და გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობისა და კონტროლის მექანიზმების ეტაპობრივი დახვეწა.

„მართლა არ ვიცი როგორ უნდა განვასხვავო კარგი და ცუდი პროდუქტი. მხოლოდ იმის მიხედვით ვიყიდულობ, რამდენად კარგად გამოიყურება გარედან, თუმცა

აჭარის სოფლის მეურნეობის დარგობრივი განვითარების განყოფილების უფროსი მამუკა თურმანიძე ამბობს, რომ სასათბურე მეურნეობების განვითარება და უვნებელი პროდუქტის წარმოება ქვეყნის წინსვლას შეუწყობს ხელს. ვცდილობთ ფერმერებს ვაჩვენოთ, რომ ამ გზით ბევრად უფრო მეტი პროდუქტის მოყვანა შესაძლებელია, ვიდრე ღია გრუნტში, თუნდაც რომაგ მიწის ნაკვეთზე. სათბურში ზოგჯერ 10-ჯერ იზრდება მოსავლიანობა. სამომავლოდ ვცდილობთ

რა შეიძლება რძის ნაწარმზე ეტიკეტირების წესის შემოღების შემდეგ

თამარ კაპანაძე გახეთი „სპექტრი“

1 აგვისტოდან რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდა. რა შედეგად ამ წესმა მომხმარებლისათვის და გაუმჯობესდა თუ არა რძის ნაწარმის ხარისხი.

აღნიშნავს, რომ რეგულარულად ამოწმებს, აქვს თუ არა ეტიკეტში მარკეტში შემოტანილი რძის ნაწარმს, „რა ეს წესი ამოქმედდა, არ ყოფილა შემთხვევა, არ ჰქონოდადეს ეტიკეტი“

ლებლად უნდა ხდებოდეს, იქნებ და იტყუება წარმოებელი? შემოსავალი შემოიძირდა, ეტიკეტში ფაი უნდა გადაიხადო, მაწვნის ჭიქებს ვყიდულობ და რაც ადრე მრჩებოდა, ის მოგება აღარ მაქვს.“

რა დარღვევები დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო დარგების დაფიქსირდა სასოფლო-სამეურნეო მონიტორინგში

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ სამმართველოს.

სოფელ ენთელში წყლის ნიმუშში გამოვლენილ დარღვევაზე კომენტარი არ გადაეთქვა.

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში განმარტავენ, რომ აღნიშნული სოფლები სხვილისი, ბოლავური, ენთელი და აბასთუმანი, სადაც დარღვევები დაფიქსირდა, კომპანიის მომსახურების არეალში არ შედის.

კითხვაზე, ფლობს თუ არა დაფიქსირებული დარღვევების შესახებ ადგილობრივი თვითმმართველობა ინფორმაციას და რა კონკრეტული ნაბიჯები გადადგეს წყლის ხარისხის გასაკონტროლებლად, ანდა გააფრთხილეს თუ არა მოსახლეობა, რომ წყალი სასმელად არ გამოიყენონ, ადიგენის გამგეობაში არ გვიპასუხეს.

ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კი განმარტავენ, რომ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაბა ადიგენთან ერთად დაბა აბასთუმანსაც ამარაგებს და პასუხიც მათ უნდა მოვთხოვოთ. ხოლო რაც შეეხება სოფელ ბოლავურს, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამ სოფელში წყალმომარაგების სისტემის ფართომასშტაბიანი საშუალებები მიმდინარეობს და სისტემა „აბსოლიტურად გამართული იქნება.“ ხოლო

რაც შეეხება აბალციხეში რუსთაველის ქუჩა N101-ში აღებულ წყლის ნიმუშს, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის პრესსამსახურის თქმით, აღნიშნულ მისამართზე კომპანიაში კიდევ ერთხელ ჩაატარა ლაბორატორიული კვლევა.

სასურველი რეკვიზიტი

ახალი ხორცის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ ხორცის ზედამიწი უნდა იყოს მშრალი, ქალაქის ზედამიწი ხორცის დადებით ის არ უნდა დასველდეს.

- თუ ხორცი იყიდება არაპირველურ პირობებში;
- ზაფხულის ცხელ დღეებში მაცივრის გარეშე ინახება;
- ბაზარში ხორცის შეძენისას ყურადღება მიაქციეთ ვეტერინარული სამსახურის ნიშნის არსებობას!

არ იყიდოთ ხორცი, თუ:
- ხორცის ზედამიწი წებოვანია;
- ხორცის ნაჭერზე ხელის დაჭერისას წარმოქმნილი ორმო მალევე არ ივსება და თუ ხორცმა დაკარგა ელასტიურობა;
- თუ კუნთოვანი ქსოვილი ადვილად სცილდება ძვალს;
- თუ ხორცი ძალიან მუქი ფერისაა და ქონს მოყვითალო ელფერი აქვს;
- თუ ხორცს არასასიამოვნო სუნი აქვს;

გაყინული ხორცის შეძენისას გაითვალისწინეთ:
- ხორცი იყიდეთ გაყინულ და არა გამლვალ მდგომარეობაში;
- თუ ხორცი ვარდისფერი კრისტალებითაა დაფარული, ის ერთხელ უკვე გამლვალაა, არ იყიდოთ;
- გამლვალ ხორცს გამოყენებამდე უყინოთ, თუ სუნით არასასიამოვნოა, არ გამოიყენოთ.
წყარო: www.momxmarebeli.ge

გვერდი მომზადებულია „რეგიონული მედიის ასოციაციის“ მიერ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს გრანტების ფარგლებში. მასალის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები. სტატიები არ გამოხატავს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის, ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

ახალი რეგულირება საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეებისათვის

საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეების შრომითი უფლებების დასაცავად ახალი რეგულაციები ამოქმედდა.

ინფორმაციაში, რომელიც იუსტიციის სამინისტრომ გაავრცელა, წერია, რომ მეწარმე-სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც საზღვარგარეთ შრომით მიგრაციასთანაა დაკავშირებული, რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში გაივლიან. შესაბამისი ცვლილებები „შრომითი მიგრაციის შესახებ“ საქართველოს კანონში, „მეწარმეთა შესახებ“ კანონსა და „საჯარო რეესტრის“ შესახებ კანონში ძალაში პირველი ნომბრიდან შევიდა.

ახალი რეგულაციების თანახმად, მეწარმე-სუბიექტები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებს უცხოეთში დასაქმებას ან დასაქმებაში დახმარებას სთავაზობენ, ვალდებული არიან, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებისას აუცილებლად მიუთითონ თავიანთი საქმიანობის ეს სფერო. იმ კომპანიებმა კი, რომლებიც უკვე საქმიანობენ საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში დასაქმების კუთხით, საჯარო რეესტრის 2016 წლის პირველ მისამდე უნდა მიმართონ და საკუთარი საქმიანობა სამეწარმეო რეესტრში დააფიქსირონ. იგივე ვალდებულება ეკისრებათ აგრეთვე უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალებს, რომლებიც უცხოელებს სთავაზობენ საქართველოში დასაქმებას. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობების შემთხვევაში კანონი ადმინისტრაციულ სახდელს ითვალისწინებს. რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა ჯარიმდება 500 ლარის ოდენობით, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ჯარიმდება 1 000 ლარის ოდენობით.

საჯარო რეესტრი იღებს გადაწყვეტილებას სუბიექტების რეგისტრაციის შესახებ და აზღაურებს ინფორმაციას მათი საქმიანობის თაობაზე. ცვლილებები უკვე განხორციელდა სამეწარმეო რეესტრის პროგრამაშიც. საქმიანობის რეგისტრაციას დაემატა ახალი ველი: საქართველოს ფარგლებს გარეთ შრომითი მოწყობის ან/და შრომითი მოწყობაში დახმარების განმახორციელებელ სუბიექტად რეგისტრაცია.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ იუსტიციის სახელს, საჯარო რეესტრის ტერიტორიულ სამსახურებს და ავტორიზებულ პირებს. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელ ხაზზე: 2 405 405

ტრაფიკინგი თუ უფლებები გაუარესებელი ქართველი ქიქები გერმანულ ოჯახებში

პირველი გვერდიდან

ვინც იცის, ან არ იცის, რას ნიშნავს, განუმარტავთ, რომ ოპერობა ესაა პროგრამა ევროპის ქვეყნებს შორის. ძიად ყოფნის შესაძლებლობა ეძლევათ 18-27 წლამდე ასაკის გოგონებს და მისი მიზანია, სხვა ქვეყნის კულტურისა და ენის გაცნობა. მოვალეობები: ბავშვის მოვლა (უმეტეს შემთხვევაში), შეთანხმებისამებრ, მარტივ საოჯახო საქმეებში დახმარება, ასევე, იშვიათ შემთხვევაში — ბავშვის მოვლა, სადილის მომზადება, დაუთოება.

ოპერა კვირაში უნდა იმუშაოს არაუმეტეს 30 საათისა, შაბათ-კვირა თავისუფალია. მას ევალება ენის კურსებზე სიარული, რაშიც მასპინძელი ოჯახი ხელს უწყობს, შეთანხმებისამებრ უხდის დაზღვევისა და სამგზავრო ბილეთის თანხას. ძიძის ხელფასია გერმანიაში — 260 ევრო, ავსტრიაში — 300.

წასვლის გზები: ინტერნეტსაიტები (მასპინძელი ოჯახების ან სააგენტოების) და გერმანული ენის ქართველი პედაგოგი, რომელიც ამზადებს საბუთს, ერთგვარად შეამავლობს ძიძასა და ოჯახს შორის.

აუცილებელია გერმანული ენის ა1-ის დონეზე ცოდნა.

ვინაიდან გერმანიაში ოპერ გოგონად პირადად მეც ვიმყოფებოდი, შეხება მქონდა ახალგაზრდა ძიძებთან და შესაბამისად, ისტორიებიც ძალიან ბევრი დამიგროვდა.

ლია, 10 წელია ბერლინში (გერმანია) ცხოვრობს: „მეგონა, არაფერს ვიკრიფი ოჯახში მოხვდი. ვიცი, რომ ბავშვებისთვის უნდა მიმეხედა, მაგრამ ცხოველების მოვლაც დამეკისრა. რომლებიც ხელშეკრულებით არც კი მეკუთვნოდა. თავიდან ყველაფერს ინტერესით ვაკეთებდი, მაგრამ ძალიან ალერგიული გახდი. ჯანმრთელობის პრობლემები დამეწყო. შშობლებს ვერ ვუკავშირდებოდი, სანამ ტელეფონს ვიყიდი, მასპინძლები მერეც შეუხებოდნენ, რა ამბავია ამდენი რეკვი. 6 თვის შემდეგ, როცა ხმის ამოღება დავიწყე, შევიჩვიე, რომ ზედმეტ საათებს ვმუშაობდი. არ ელოდნენ, თან არ უნდოდათ ჩემი გაშვება.“

ამ ხნის განმავლობაში არც ვიცი, ვისთვის რა უნდა მეკითხა, მერე ენის კურსებზე მიიხრეს სააგენტოს მისამართი და წავიდი. გამოვიცვალე ოჯახი და მაშინ ვიგრძინე შეება. 5 წლის თავზე გადავწყვიტე ფიქტიური ქორწინების გაფორმება. დავუმეგობრდი სომხებს, რომლებმაც მომიძებნეს ერთი კაცი, გადავვდიოდი დანიში, ჩემთვის უცხო ხალხთან ერთად. ფული გულში მქონდა ჩაკრული, ჩამალული, წინასწარ 3000 უნდა მიმეცა. მაშინ მიხვდი, რომ ძალიან დიდ საფრთხეში ვიყოფიყავი. ხომ შეიძლება ტრაფიკინგის მსხვერპლი გაემხდარიყავი?! თან არავინ მახლდა, არავის ეცალა. ვერც ვერავინ მომაგნებდა, მაგრამ გამიმართლა. ახლა პასპორტისთვის ვიბრძვი. საქართველოში რომც მომიხდეს წამოსვლა, ამ ყველაფერს წყალში ვერ ჩაყრი. არ ვიცი, რად მიიღოდა ეს ყველაფერი!“

თინა, 4 წელია ვენაში (ავსტრია) ცხოვრობს: „მე ოჯახმა პასპორტი საერთოდ ჩამომართვა. ჩვენი პასუხისმგებლობის ქვეშ ხარ და უნდა ვიკოდეო, სად წახვალ. ენა სკოლაში ნასწავლი მქონდა, თან — გადავეშალე და ამიტომ კომუნიკაცია არ გამჭირვებია. საქართველოდან გერმანულს მასწავლებელმა გამიშვა. ყოველ შაბათს მამუშავედნენ და თავდაპირველი 30 სამუშაო საათი 60-ზე ავიდა. გერმანულს მასწავლებელს ვერ ვუკავშირდებოდი, უამრავი მაილი მივწერე ინტერნეტკავება. ოჯახის წევრებს ერთმანეთთან დაძაბულობა ჰქონდათ. ერთ დღეს დამიძახეს და მიიხრეს — ბარგი ჩაალაგე, აეროპორტში მიდიხარო. ჩავალაგე, რა უნდა მექნა: მიმიყვანეს აეროპორტში, ჩამაბარეს და გამომიშვეს.“ კიდევ რამდენიმე რესპოდენტს ვაკი-



ლებით რთული თავდასავალი ჰქონდა, მაგრამ მათ არ ისურვს ამის გახანტაობა. არადა, მსმენია, რომ მასპინძელი მამაკაცის ხისტი „ალერსის“ მსხვერპლი გახდნენ, თუმცა, ოღონდ საქართველოში არ დაბრუნებულყვნენ და მორჩილად იტანდნენ „მოფერებას“.

27 ახალგაზრდიდან მხოლოდ 3-ს ჰქონდა „ზღაპრული ოპერობა“ (ისინი დღემდე იმ ოჯახებში ცხოვრობენ, მიუხედავად ვადის ამოწურვისა), 16-მა რთულ პირობებში მყოფმა ძიძამ ძლიერი ფსიქოლოგიური ტრავმა მიიღო. მიუხედავად ამისა, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ყველა ის მიმივი სიტუაცია, როგორშიც ჩვენი ემიგრანტები ხვდებიან საზღვარგარეთ და რომლის მოსმენაც კი ძალიან ძნელია, არათუ გაძლება, ტრაფიკინგად ვერ ჩათვლება და საზოგადოებაში ამის თაობაზე მცდარი წარმოდგენა აქვთ ხლმდე.

ტრაფიკინგი თუ მძიმე შრომითი პირობების ისტორიები?!

მაინც რა არის ტრაფიკინგი?! როგორც იურისტი პაატა ცნობილად ამბობს, ხშირად ხდება, რომ სხვა სახის სამართალდარღვევებს ტრაფიკინგთან აიგივებენ. თუნდაც ის დამცირება, შიმშილი ან უხეში მოპყრობა საზღვარგარეთ არ ნიშნავს, რომ ეს ყველა შემთხვევა ტრაფიკინგია. ტრაფიკინგი უფრო მეტად ორგანიზებული დანაშაულია, ვიდრე ერთი ოჯახის მხრიდან გაუსაძლისი პირობების შექმნა.

„ტრაფიკინგის კვალიფიკაციისათვის აუცილებელია რამდენიმე ელემენტი ერთობლივად არსებობდეს. კერძოდ, სახეზე უნდა იყოს არა მხოლოდ ჩადენილი ქმედებები, არამედ ქმედების მიზანი — ადამიანის ექსპლუატაცია. თუ რა ითვლება ექსპლუატაციად, კანონი ამასაც განსაზღვრავს. ეს არის იძულება, დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა, ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ამოღება. ასევე, ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება“ — აცხადებს იურისტი და დასძენს, რომ არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის თავიდან ასაცილებლად, კანონი კიდევ უფრო აკონკრეტებს, თუ რა არის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება. კერძოდ, ეს არის ისეთი მდგომარეობის შექმნა, სადაც პირი სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას ანაზღაურებით, არაადეკვატური ანაზღაურებით ან

ანაზღაურების გარეშე, თუმცა აქ ერთი მომენტია მნიშვნელოვანი, რაც დამახასიათებელია ტრაფიკინგისთვის — პირს არ შეუძლია ამ მდგომარეობის შეცვლა დამანაშაულზე დამოკიდებულების გამო.

„შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ტერმინი — პირზე დამოკიდებულება — ბუნდოვანია, თუმცა, ზუსტად იმის გამო, რომ პრაქტიკაში არ ყოფილიყო ამასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, კანონმდებელმა ისიც დააკონკრეტა, თუ რა არის პირზე დამოკიდებულების პირობები — მსხვერპლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის კონტროლი, თავისუფლების შეზღუდვა ნებისმიერი სახით, თუნდაც მეთვალყურის მიჩენით და მსხვერპლის თავისუფალი გადაადგილების კონტროლი. ასევე, ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის კონტროლი ნებისმიერი სახით ან პირისთვის იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნა“ — განმარტავს იურისტი პაატა ცნობილად.

მისივე თქმით, ვინაიდან ტრაფიკინგის დანაშაული საკმაოდ ბევრ ელემენტს მოიცავს, ტრაფიკინგის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების უფლება აქვს მხოლოდ საუწყებოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, რომელიც შეიქმნა 2006 წელს და მას ხელმძღვანელობს იუსტიციის სამინისტრო. როდესაც საბჭო კონკრეტული პირის საქმეს განიხილავს და მიანიჭებს მას მსხვერპლის სტატუსს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს ისარგებლოს სპეციალური სახელმწიფო ფონდის მომსახურებით — მათ შორის, თავშესაფარი იქნება ეს, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია თუ ერთგვარი კომპენსაცია.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ ტრაფიკინგის დანაშაულის ჩადენა არ ისჯება. კანონი დანაშაულად აცხადებს ტრაფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობასაც, როდესაც პირმა იცის ამის შესახებ. თუმცა, კანონი ერთ დამატებასაც აკეთებს — თუკი ასეთი პირი გამოიღობს დაწყებამდე შესაბამის ორგანოებს მიაწვდის ინფორმაციას და ხელს შეუწყობს გამოძიების წარმართვას, ის გათავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. იურისტის თქმით, ამ დამატების მიზანია, ხელი შეუწყოს ტრაფიკინგის დანაშაულების გახსნას და ტრაფიკინგთან ბრძოლას.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ჩემი ოპერობის დროს ნაკლებად ვიცნობდი ანტიტრაფიკინგულ ბუკლეტებსა და კანონებს, ახლა კი, როცა მათ საქარისად გადავხედე, გადავწყვიტე, ლიას, თინას,

თამთას, თეას და საზღვარგარეთ დარჩენილ ყველა მეგობარს მოკლედ ვუთხრა:

ბახსოვდით, კანონგარეშა:

- ადამიანისათვის ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც ის ანაზღაურებით არაადეკვატური ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე, სხვა პირის სასარგებლოდ ასრულებს სამუშაოს ან ეწევა მომსახურებას და მას არ შეუძლია ამ გარემოების შეცვლა, სხვა პირზე დამოკიდებულების გამო.
- პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევა, კონტროლი, დაზიანება, განადგურება.
- თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა და კონტროლი
- ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან კომუნიკაციის, მიმოწერის და სატელეფონო კონტაქტის შეზღუდვა ან კონტროლი.
- პირისათვის იძულებითი ან დამაშინებელი გარემოს შექმნა.

ეს რეგულირება მეც ტრაფიკინგის პრევენციის პროექტიდან შევიტყვე, რომელსაც საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია ახორციელებს იუსტიციის სამინისტროს გრანტის ფარგლებში და რომლის ადმინისტრირებასაც „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“ ახდენს. ვეჭვობ, რომ ტრაფიკინგის საფრთხეების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და თითოეული ადამიანამდე მიტანა ძალიან მნიშვნელოვანია.

სწორედ ამავე პროექტის ფარგლებში გამართული შეხვედრებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა იმ ცხელი ხაზების არსებობაც, სადაც ტრაფიკინგის სარტყის არსებობისას შესაძლებელია დარეკვა, რომ დაგეხმარონ. აქაც აუცილებლად გაგიზიარებთ ამ ცხელი ხაზის ნომრებს:

- ადამიანთა ვაჭრობის (ტრაფიკინგის) მსხვერპლობა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცხელი ხაზი (+995 32) 2 100229;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრაფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ცხელი ხაზი (+995 32) 2411716

როგორ იპარაკენ და ირჩენენ თავს ბერძენი ჩასული ქართველები

რას ნერენ ჩვენზე და რას ამბობენ გერმანიაში მცხოვრები ქართველები

„მომპარავ თაობას არაფერი უშვებია. მათ მეტი არაფერი უსწავლიათ“

„ქართველ „მომპარავთა“ რიცხვმა გერმანიაში საგრძობად იმატა, — წერს გერმანული ინტერნეტგამოცემა და იმეორებენ ქართული მედიასაშუალებები. ისინი ჩამოდიან, დევნილობის განაცხადს ავსებენ და ამ პერიოდის განმავლობაში, სანამ მათი სტატუსი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, მოპარვით ირჩენენ თავს. ეს ვადა 9 თვიდან ერთ წლამდე გრძელდება. როგორც ჩანს, ამ პერიოდს ქართველები ნაყოფიერად იყენებენ, ამაზე საერთო წლიური ზარალიც მეტყველებს, რომელიც 250 მილიონს მიაღწევს.“

ქართველ კრიმინალთა დაჯგუფებების ძიებით დაღლილი გერმანელების მღელვარებამ საქართველომდეც მოაღწია, თუმცა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების მიზნით და ხალხში მღელვარების მოსამატებლად. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, სიტყვა გერმანია საქართველოში მხოლოდ მოპარვასთან ასოცირდება.

„ძალიან ვწუხვარ, რომ „ასეთი“ ქართველები თქვენ სახელს გიფუჭებენ. კიოლნის ამბავმა ცოტა მეც შემაშინა,“ — მითხრა ჩემმა გერმანელმა ნაცნობმა და მას შემდეგ უფრო დაინტერესდა ჩვენი ყოფით. დიდხანს მის სანაცნობოში რუსეთს ვეკუთვნებდნენ. ერთ-ერთმა საქართველოს დანაშაულოვანი აქტის აღიარა რუსეთ-საქართველოს საერთო კონფლიქტში. გაგაკვირვებთ, ალბათ, ახლადჩასულს მტკვრისას რუსეთის ფუნქციების ასხნა რომ დამიწყო და დაინტერესდა, საერთოდ შუქი ნანახი თუ მქონდა, ნეპალელებს შემაძარა (რადგან წინა სტუმარი ნეპალელი ჰყავდა). რამდენიმე თვე ეჭვის თვალის ქვეშ ვიღვიძებდი და ვიძინებდი. სახლში ყველგან მიმოფენილ ხურდასა თუ ქაღალდის კუბიურას ადგილზევე ვახვედრებდი. გამოცდები ჩავაბარე. მე „ჩემი გერმანელების“ იმედგავემართლე, სწორედ ასე ამართლებენ და პირს უწყნარად ათასობით გერმანიაში მყოფი ქართველი ახალგაზრდა საკუთარი მიწის შვილის გაფუჭებულ საქმეს.

იქ, გერმანიაში აბრეგებზე არ წერია მხოლოდ „ერიდეთ ტარანტებსა და ქართველებს“, იქ ბევრი ცნობილი ქართველი მსახიობისა თუ მომღერლის, სპორტსმენისა თუ ხელოვანის სახელი და გვარი ამწვენიერებთ თეატრებისა თუ სპორტის სახელების აფიშებს.

ბოლობოლო, რას სჩადიან ქართველები „იქ“?

ვეცადე, მომეძებნა ცუდის ჩამდენი, მაგრამ ჩვენდა საბუნდოვროდ, სანთლით საძიებარი გამიხდნენ.

„როდესაც საქართველოში არანაირი შემოსავალი არ გვაქვს, სარჩენი გვაქვს ოჯახი, გაქვს ვალეები, იძულებული ხარ, ყველანაირ გზას მიმართო. გადავიხადე დაახლოებით 2000 ევრომდე და წავიდი. ჩავიდი სტოკჰოლმში და ჩავბარდი. გადამიყვანეს პატარა ქალაქში, სადაც თვითონ შემოსავალი ძალიან დაბალი იყო. ვალს ვალი დაემატა საქართველოში. ვცდილობდი, თავი გამეტანა და უკეთესობის მოლოდინში ვიყავი. დრო კი გადიოდა, არც სივარტის ფული მრჩებოდა, შავი სამსახური მხოლოდ ერთი ვიწვევდა და ისიც არასტაბილური. მე და ჩემმა მეგობრებმა სომხები გავიცანით, რომლებმაც თავის გატანის გზა გვასწავლეს. მოგვცეს მონახაზი, თუ როგორ შევსულიყავით მალაზიებში პროდუქტის წამოსადგმად, თევზი განსაკუთრებით მარტივი გამოსატანი იყო, რადგან იქ არ ეყენა ვიდუოკამერა. წავიდი ამ საქმეზე. პროდუქტი ისევ სომხებთან მიმქონდა, საიდანაც ე.წ. შავ ბაზარზე ვაღივრებდი. სხვებიც



შემომიერთდნენ, მაგრამ ერთ-ერთი მოვხსენით საქმიდან, წითლდებოდა ჭარხალივით. ასე გამოქონდათ სომხებს, ალბანელებსა და რუმინელებსაც, ახლა სირიელების დიდი ნაკადი შემოდის, ამბობენ. ჩემი აზრით, ისინი ჩვენზე უკვირად და სიფრთხილით იქცევიან. მართლაც ვარა, გვექონდა სპეციალური ჩანთები, რომლებსაც ჩვენვე ვაკეთებდით, კოსმეტიკა ასე ადვილად გამოგვქონდა. წერილი საქმე უფრო შრომატევადია, ამიტომ დავანებე თავი. მას შემდეგ სად არ ვარ ნამყოფი, მოვიარე მთელი ევროპა, ვერსად ვერ დავმკვიდრდი, მაგრამ ახლა სადაც ვარ, ვმრომობ და ასე უფრო მეტს ვაკეთებ.“

ალბათ ხვდებით, რომ პიროვნება რომელმაც ინფორმაცია მომ-აწოდა, ანონიმად დარჩება. ყველა-აფერი კი საქართველოს წყობას დააბრალა, „უმადლესდამთავრებული, თანამდებობაზე მყოფი, დღეს ქურდად და მუშად ვიქცევი. ნეტა, ვისი ბრალია, თუ არა აქაურობის?“ — მითხრა მან.

ანა, დიუსელდორფი — „მე ვიცი, ქართველების ოჯახი დედა, მამა და შვილი, რომლებიც სწორედ იქ რომ მოპარვით ირჩენენ თავს. ქართველების უმეტესობა მათ იცნობს და ცდილობენ, მათგან თავი შორს დაიჭირონ, ზოგიერთი პირიქით, მათგან ყიდულობს იაფად პარფიუმერიას. ამასწინათ კვითხულობდი გერმანულ გამოცემაში, ქართველები ძირითადად ალკოჰოლს, პარფიუმერიასა და თამბაქოს იპარაკენ. დაახლოებით აპრილ-მაისში ქართველების ხუთკაციანი ბანდა დააკავეს კობლენცში, 7000 ევროს ღირებულების თამბაქო მოუპარავთ. როდესაც ახალი ქართველი გამოჩნდება ხოლმე, ყოველთვის ვფრთხილდები, ნუ იკონტაქტებ ბევრ ქართველთან, ნუ გამოართმევს ქართველს მალაზიაში მოწოდებულ ჩანთას და ფრთხილად იყავი დევნილებთან.“

ნათია, კიოლნი — „მყავდა ასეთი ადამიანი სამეგობროში, გამოგეტყუებდა და მეც მიყვოდა მისგან ნივთები. ვფიქრობდი, რომ ცოდვაა, მაგრამ რეიბანის ორიგინალ სათვალეს 60 ევროდ, აბა, სად ნახავთ? ვიცი, რომ

ტყავის „კურტკებსაც“ ყიდა. ის ბიჭი დაიჭირეს, მას შემდეგ არც მინახავს. კიოლნის ორიგინალური გაქურდვის შესახებ თქვენც გეცოდინებათ, ჩემებმა მითხრეს საქართველოდან.“

დათო, ესენი — „ერთ სამსახურში ვართ დაახლოებით 8 ქართველი, რომლებიც ვმრომობთ და ისე ვცხოვრობთ. მინდა ვითხრა, რომ ჩემს გარშემო არც ერთი დამნაშავე არ არის. პატიოსნად ვმუშაობთ, ვსწავლობთ. ჩვენს გვერდით რესტორანში კიდევ ამდენივე ქართველია, იქაც შრომით და არა იოლი ფულით ვაქვეთავთ.“

მარინა, ბონი — „სირცხვილია ის, რასაც მედიასაშუალებები წერენ. მე გერმანულზე ვარ გათხოვილი და რამდენჯერაც საქართველოს ახსენებენ, სად დავიმალო, არ ვიცი. კარგი არაფერი თქმულა ჯერ. მამამთილი არც ერთ საინფორმაციოს არ ტოვებს, ძირითადად, ის არის ჩემი ინფორმაციური და წარმოგდგენიათ, როგორ უნდა ვგრძნობდე თავს? „ჩემი ქართველები“ ყველანი ემორჩილებიან გერმანიის კანონებს. მიყვარს ეს ქვეყანა თავისი სიმშვიდით და მეგობრული დამოკიდებულებით ყველა ერის ადამიანთან. მათი კარი ყველასთვის ღიაა და ცდილობენ, ხელი გაგიმართონ ნებისმიერ საკითხში. გექცევიან თბილად და ჩვენ, უფრო სწორად ჩვენ არა, ზოგიერთი უღირსი, ცდილობს ჩვენს სახელს შეურაცხყოფას.“

რა არის გამოსავალი?

პოლიტიკოსების დამოკიდებულება ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით ნათელია, გადაჭრის ათასნაირ გზას სიტყვიერად უცებ გამოქვნიან. მაგრამ რას ფიქრობენ ახალგაზრდები?

ანა, დიუსელდორფი — „გერმანია ყოველთვის წინდახედულად მოქმედებს და ასეთ ხალხთან როგორ ვერ მოავგარა საქმე, ვერ ვხვდები. როცა იცი, რომ პიროვნებები „აზღვში“ (ლტოლოვითა თავმესაფარი) არიან და მათ არანაირი შემოსავალი არა აქვთ, გარდა 200 ევროსა, როგორ შეიძლება ეცვეთ ორიგინალი ფირმის ტანსაცმელი. გაოცებული ვარ. ისე დადიან,

თითქოს პარლამენტის წევრები იყვნენ, ნოუთუქუდადაკიდებული, — სეცე თვალის ასახვევად, ეჭვი რომ არ შეიტანონ.“

დათო, ესენი — „არ უნდა მისცენ ასეთ ადამიანებს ვიზები, ან როგორ აკეთებენ, ან ვინ აძლევს, დაფიქრებულან საეულჩოები, ვის ურტყამენ ბეჭედს? მე, როდესაც აქეთ მოვდიოდი, უამრავი საფეხურის ვავლა მომიწია, დაწყებული სამედიცინო შემოწმებიდან, დამთავრებული გასაუბრებამდე. სტატუსი ხომ უნდა გავაჩნდეს?“

ნათია, ბონი — „უნდა შეიცვალოს პოლიტიკა გერმანიაში, მოითხოვოს საქართველოს მთავრობამ, რომ არ დატოვონ ეს ხალხი დევნილებად, თუმცა ასეც ხდება უმრავლეს შემთხვევაში. ჩემი მეგობარი გამოუშვეს ლონდონიდან, საქართველოში დემოკრატია და წაბრძანდით. გერმანიის პარლამენტმა რუმინელების, სომხებისა და ქართველებისთვის ახალი პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს. შეამციროს ვადა ინტერვიუმდე.“

ბუბა, დიუსელდორფი — „კარგია, რომ ახალგაზრდებს გერმანიაში აქვთ საშუალება, უფასოდ ისწავლონ. აი, საქართველოს რომ ჰქონდეს უფასო სწავლა, ბევრი აქეთ აღარ წამოვიდოდა. მოპარვა კი ნარკოტიკების გამო ხდება. უნდა შეიცვალოს მენტალიტეტი, სანამ საქართველოში ქურდების საფლავებს უფრო დიდ პატივს მიაგებენ, ვიდრე ჰაფუზაფისა, გგონიათ, რამე შეიცვლება? ქვეყანაში, სადაც ახალგაზრდები ბავშვობიდან ქურდობაზე ოცნებობენ, როგორ გგონიათ, რას მოიმოქმედებენ უცხოეთში? „მომპარავ თაობას“ არაფერი ეშველება, მათ მეტი არაფერი უსწავლიათ.“

გერმანული ინტერნეტგამოცემა იმასაც იუწყებოდა, რომ ქართველების საკითხს თავად პარლამენტი განიხილავს. იმედ ვიქონიოთ, ზარალის უკან დაბრუნების მოთხოვნის საკითხს არ წამოაყენებენ და „საქართველოს ევროპულ გზას“ ეს კიდევ უფრო ეკლიან არ გახდის.

თაბარ ზოგიჩაიოვილი

ქართულმა ღვინოებმა ჰონგ-კონგის გამოფენაზე უმაღლესი ჯილდოები მოიპოვეს

ჰონგ-კონგის ღვინოსა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე — „HKTDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2014“ — კომპანიის „კახური ღვინის მარანი“ ღვინომ „საფერავი 2011“ ორი უმაღლესი ჯილდო (გრანპრი ნომინაციაში „საუკეთესო რეგიონალური ღვინო აღმოსავლეთ ევროპაში“ და ოქროს მედალი) მოიპოვა. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ამავე კომპანიის ღვინო „მუკუნანი 2011“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისთვის უმნიშვნელოვანესია მაღალი კლასის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა და გამარჯვება.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალი ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით, რისთვისაც უმნიშვნელოვანესია ქართული პროდუქტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია. ქართულ პროდუქტის და, გამოჩენულად ქართულ ღვინოს აქვს პოტენციალი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად ხორცილდება ღვინის ხარისხის კონტროლი, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფალსიფიკაციას და უზარსიხო პროდუქტის მოხვედრის შესაძლებლობას როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე,“ — განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

ყოველწლიური გამოფენა „HKTDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2014“ 5-7 ნოემბერს ტარდება და აზიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოფენას. გამოფენას მსოფლიოს 40-მდე ქვეყნიდან ათი ათასობით ადამიანი ესწრება. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე კი მთელი მსოფლიოდან წელიწადში 1500-ზე მეტი განაცხადი შედის. ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, წელს გამოფენაზე წარმოდგენილია ქართული კომპანიის — „თბილღვინო“, „მეღვინეობა ხარება“, „კახური ტრადიციული მეღვინეობა“, „ბადაგონი“, „ქართული ღვინის სახლი“ და კომპანია „ქართული ღვინო“ — სხვადასხვა სტილის ღვინო.


გამოფენის ფარგლებში იმართება კონკურსიც და შედეგები გამოფენის გახსნის დღეს ქვეყნდება, რაც უზრუნველყოფს გამარჯვებული ბრენდების სტენდებთან მეტი დაინტერესებული ტრეიდერისა და იმპორტიორის მოზიდვას.

6 ნოემბერს, გამოფენის „HKTDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2014“ ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media“ ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი ქართულ ღვინის სემინარსა და დეგუსტაციას გამართავს.

ვინ არ უჩვეულებდა ლარი ალიმონას „მნათობში“ ნატივს ტერენტი ბრანელზე

მწერალი და პუბლიცისტი ლარი ალიმონაკი 75 წლისაა

— ყველაფერი დაიწყო ქუთაისიდან. ქუთაისი ჩემი მშობლიური ქალაქია, ურთიერთობა თბილისში წასვლის შემდეგაც არ გამიწყვეტია, სტუდენტობის წლებიც აქ გავატარე. მყავდა დიდი სამეგობრო. პირველი წერილიც გაზეთ „ქუთაისში“ დაგებულე 1965 წელს, რომელიც ეძღვნებოდა ვარინკა წერეთლისა და აკაკი წერეთლის მეგობრობას, და თუ როგორ დაიბადა სიმღერა „სულიკო“, დაიწერა მონოგრაფიაც. 1970 წელს გამომცემლობა „ხელოვნება“ გამოსცა ჩემი პირველი წიგნი ვარინკა წერეთელზე. მინდა ვთქვა: როდესაც თბილისში არ მიბეჭდავდნენ მასალებს ტერენტი გრანელზე, მხოლოდ ვაზეთ „ქუთაისის“ კარი იყო ჩემთვის ღია. ეს იყო 1960-იანი წლები, ამიტომ დიდი პატივისცემით ვიგონებ ვაზეთის იმეამინდელ რედაქტორს გივი მეფისაშვილს.



ლარი ალიმონაკი

ბედნიერი ვარ, რომ ქუთაისში მყავდა უახლოესი მეგობრები. მინდა, გავისვენო გურამ (ჭობი) ვაგოშიძე, რომელიც ჩემი სიყრმის მეგობარი იყო, გვერდი-გვერდ ეხოში დავიბადეთ, კიროვის ქუჩაზე, ჭაბუკიძე ერთად ვავატარეთ. სამწუხაროდ, ძალიან ადრე დატოვა ეს წუთისოფელი. ჩვენი საუბრის თემა იყო პოეზია, მუსიკა, მხატვრობა. გურამი მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო, ძალიან უყვარდა ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტერენტი გრანელი; მხატვრობაში — დავით კაკაბაძე. იცოდა ისტორია და კარგად მღეროდა არიებს სხვადასხვა ოპერებიდან. ქართულ პოეზიასა და ხელოვნებაზე შეყვარებული მეგობრები ხშირად ვიკრიბებოდით ჭობის ოჯახში, ქუთაისში...

დავავიწყებ: ვინ მიგვანდა გალაკტიონის შემდეგ დიდ პოეტად. დავასახელებთ ტიციანი, პაოლო იაშვილი, ლადო ასათიანი, ტერენტი კი არ გავგვხსენებია. ბატონმა არჩილმა კი ვეთხრა: ეს არის ტერენტი გრანელი... და რამდენიმე მისი ლექსიც წარმოსთქვა. ეს იყო 1965 წელს.

როგორც კი დავბრუნდი თბილისში, მაშინვე მოვხვებნე ტერენტის ლექსების წიგნი, 1961 წელს გამოცემული ელიზბარ უბილაძის მიერ, რამაც ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა, სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩემს დაინტერესებას მისი ცხოვრებისა და პოეზიისადმი.

— როგორ შექმლეთ ამდენი მასალის მოგროვება, შემდეგ დოკუმენტურად დადასტურება ფაქტების და კვლევების?

— წლების მანძილზე დავდიოდი არქივებში, ვაგროვებდი მის ხელნაწერებს, ვხვდებოდი მის თანამედროვეებს და მათივე ხელით ვაწერინებდი მოგონებებს, რომ დოკუმენტის ძალა ჰქონოდა. მძიმე პერიოდი იყო, ტოტა-

ლიტარული რეჟიმი მძვინვარებდა და, რასაკვირველია, ვგონობდი, რომ ნაშრომის რეალიზება გამძინვარებდა, მაგრამ არ შევძრკალვარ — 1972-1979 წლებში გამოვეცი პოეტის ერთტომეული. წინააღმდეგობები იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდი ბევრი რამის გატანას. ჟურნალ „მნათობში“ მივიტანე წერილი ტერენტი გრანელზე, რედაქტორს, ელგუჯა მალარაძეს, ძალიან მოეწონა, მაგრამ რედკოლეგიის მხარდჭერის გარეშე ვერ დაბეჭდავდა. სხდომაზე სასტიკი წინააღმდეგი წასულან ბესო ჟღენტი, ირაკლი აბაშიძე, გიორგი ჯიბლაძე. გადაწყდა, რომ ბესო ჟღენტი უნდა დაეწერა სარეცენზიო დასკვნაც, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ დაიბეჭდებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ ისევ შედგა კოლეგიის სხდომა, სადაც ბესო ჟღენტი წარმოადგინა უარყოფითი დასკვნა და როგორც ვვარაუდობდი, წერილი არ დაიბეჭდა.

— მხარდამჭერები არ გყავდათ ამ სხდომაზე?

— რა თქმა უნდა, მყავდა. სხდომას

მდეღვარების გარეშე არ ჩაუვლია, რადგან მხარდამჭერებიც ბევრი მყავდა. ესენი იყვნენ მურმან ლებანიძე, დემნა შენგელაია, ედიშერ ყიფიანი, არჩილ სულაკაური, ოთარ ჭილაძე, დიმიტრი ბენაშვილი.

მურმან ლებანიძემ ეს რეცენზია ხელში ჩაიგდო და ამ მოვლენის შესახებ 15 წლის შემდეგ დაწერა ბრწყინვალე ლექსი, ის ეპოქალურ ჭრილშია გააზრებული.

„რკინის ეპოქების იყო თქარა-თქური, და გველები სისინით დამსმენი ცვედნების, მე მნათობს მოვპარე წერილი ჯალათური და ხალხს წავუკითხავ, როცა გათენდების.“

— საინტერესოა ასევე თქვენი მუშაობა თანამედროვე ქართულ ლიტერატურასა და პოეზიაში...

— რა თქმა უნდა, პარალელურად მე ვმუშაობდი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე და პოეზიაზე. ჩემს შებიჯებას ამ სამყაროში უნდა ვუმადლოდ

ჟურნალ „ცისკარს“ და „ცისკრელებს“ ტარიელ ჭანტუიას, ოტია პაჭკორიას, ჯანსულ ჩარკვიანს, რეზო ჭეიშვილს. ამ მიმართულებით რამდენიმე წიგნი მაქვს გამოცემული. შემდეგ 90-იან წლებში, პოლიტიკურმა ვითარებამ სხვა მოვლენები დააყენა წინა პლანზე და გადავედი პუბლიცისტურ წერილებზე, ესეებსა და ლიტერატურულ პორტრეტებზე. უკვე გადაწყვეტილია 3 ტომად გამოიცეს. დაწერე ასევე რომანი „ელიაზარის დაბრუნება“, რომელიც მხატვრის ცხოვრებას ასახავს, პროტოტიპი ნიკო ფიროსმანი. მეორე გამოცემა გამომცემლობა „ინტელექტმა“ დაბეჭდა თბილისის მერიის დაფინანსებით.

— ასევე საინტერესოა იქნება მკითხველისთვის, როგორ მოხდა თქვენი დაინტერესება აღმოსავლური ფილოსოფიით და რელიგიით, გვულისხმობთ თქვენს თარგმანებს?

— 70-იან წლებში დაინტერესდი აღმოსავლური ფილოსოფიით და რელიგიით. ამის საფუძველზე ვთარგმნე საკაცობრიო მნიშვნელობის თხზულება ლაო ძის „დაო დე ძინი“, რომელიც 4-ჯერ გამოიცა. ამ თარგმანით მომენიჭა ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია. შემდეგ ამას მოჰყვა რელიგიურ-ფილოსოფიური თხზულება „უპანიშადები“, რომელიც პირველად მეცენატის მხარდაჭერით 1995 წელს გამოიცა, მეორედ კი კულტურის სამინისტრომ 2014 წელს მალაპოლიგრაფიული ხარისხით გამოიცა. პარალელურად ვწერდი ლექსებს და ისევ მინდა დავუბრუნდე ქუთაისს, სადაც ზურაბ კუხიანიძემ, ჩემმა კარგმა მეგობარმა და ნიჭიერმა პოეტმა, თანადგომით დამაბეჭდინა ლექსების კრებული.

„უპანიშადები“, რომელიც პირველად მეცენატის მხარდაჭერით 1995 წელს გამოიცა, მეორედ კი კულტურის სამინისტრომ 2014 წელს მალაპოლიგრაფიული ხარისხით გამოიცა. პარალელურად ვწერდი ლექსებს და ისევ მინდა დავუბრუნდე ქუთაისს, სადაც ზურაბ კუხიანიძემ, ჩემმა კარგმა მეგობარმა და ნიჭიერმა პოეტმა, თანადგომით დამაბეჭდინა ლექსების კრებული.

P.S. 2014 წელს მწერალ ლარი ალიმონაკს მიენიჭა გრანელის პრემია. გვინდა, ჯანმრთელობა ვუსურვო მწერალს და კიდევ ბევრი შემოქმედებითი წარმატება.

ლაშა გაგოშიძე

გოგილო ნიკოლაძის სახლი მუზეუმის დატვირთვას მიიღებს

ცნობილი ქუთაისელი მოქანდაკის გოგილო ნიკოლაძის მემორიალური მუზეუმის მშენებლობის დასრულების შემდეგ დაიწყო მუზეუმის დატვირთვა და ყველა დაინტერესებულ ადამიანს საშუალება ექნება, დაათვალიეროს გამოფენილი ნამუშევრები. გოგილო ნიკოლაძის სახლი ინახება მისი და მწერლის, მხატვრისა და რეჟისორის რეზო გაბრიანიძის ნამუშევრები. დღის წესრიგში დგას შენობაზე გოგილო ნიკოლაძის მემორიალური დაფის განთავსება.



ქუთაისელ ნორჩ მუსიკოსთა მნიშვნელოვანი აღიარება

27 ოქტომბრიდან 2 ნოემბრის ჩათვლით კანარის კუნძულებზე კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი „ვარსკვლავები ტენერიფზე“ გაიმართა. მასში 224 კონკურსანტი მონაწილეობდა. ქუთაისიდან ათი კულტურული, სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებამ 4 მოსწავლის გამგზავრება უზრუნველყო. მათგან I პრემიების მფლობელები გახდნენ მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ცენტრალური საშუალო სასწავლებლის აღსაზრდელები, პედაგოგ ანჟელა დოლაბერიძის მოსწავლეები: არაერთი საერთაშორისო პრიზისა და ვარსკვლავის მფლობელი ნანა გორგოძე, კონკურსების ლაურეატი ლიზი ბასილაძე. II პრემია და მედიის მეფესთან კონცერტის უფ-

ლება მოიპოვა არაერთი საერთაშორისო კონკურსის მონაწილემ და გამარჯვებულმა **ლილე იმნაძემ** (ბედ. ლედა კანკავა). აღსანიშნავია, რომ ტენერიფის საერთაშორისო კონკურსზე ქუთაისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მეორე საშუალო სკოლის (დირექტორი ნინო დოლონაძე) აღსაზრდელმა **ვიტალი კენჭაძემ** მოიპოვა I საპრიზო ადგილი, 20000 ევრო და სტოკჰოლმში სწავლის უფლება. ამავე სკოლის პედაგოგმა ნანა დოლონაძემ კი ფესტივალის საუკეთესო კონცერტმასტერის სერთიფიკატი. დილია მანსი იმისა, რომ ნორჩი ქუთაისური მუსიკოსები სამომავლოდ კიდევ არაერთ აღიარებას მოუტანენ მშობლიურ სასწავლებლებს.

დალი ბარბაძე

იყიდება
იყიდება მიწის ნაკვეთი (ჭავჭავაძის გამზირი №48^ბ)
მიწის ნაკვეთი ჭავჭავაძის გამზირი №48-ს წინ მიმდებარე ტერიტორიაზე, 71 კვ.მ.
დაგვიკავშირდით:
(599) 507 977; (577) 775 614; (592) 188 501.

ლოგოპედ-პედაგოგი
ლოგოპედ-პედაგოგი გთავაზობთ მეტყველების ნებისმიერი დარღვევის მოწესრიგებას: ლოგოპედია — ენის ბორძიკი; ენაბლუთა. ვფლობ უნიკალურ მეთოდებს მსგავსი პრობლემების მოსაწესრიგებლად. შედეგი გარანტირებულია. ასაკი შეუზღუდავია.

კონსულტაცია უფასო!
(592) 188 501
(0 431) 25-39-07



გამარჯვებული მუსიკოსები და მწვანე